

ვალერიან მებრეველი
გიორგი ღავითაშვილი

პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია

(ლექციების კურსი)

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი

1999

წინსვლამ. პოზიტივიზმის ფუძემდებლები და მათი მიმდევრები ცდილობდნენ „მეტაფიზიკური“ კონსტრუქციების (ტრადიციული ფილოსოფიის, იდეოლოგიის და ა.შ.) უკუგდებას და მხოლოდ ემპირიული მასალის შესწავლას. ისინი თვლიდნენ, რომ მხოლოდ „წმინდა“ ფაქტებით შეიძლება ჰქმნარიტი საზოგადოებრივი მეცნიერების შექმნა, მათ შორის სახელმწიფოსა და პოლიტიკის, იურისპუდენციის შესახებ.

XIX საუკუნის II ნახევარში გაძლიერდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გავლენა სოციალურზე. ყოფილმა ლიდერებმა - ფიზიკა-მათემატიკური ციკლის დისციპლინებმა თავისი ადგილი ბიოლოგიას დაუთმეს. ამიტომ, საზოგადოებრივ აზროვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა ევოლუციურმა თეორიამ, რომელიც გაბატონებულად იქცა მთელს ბუნებისმეტყველებაში. ასევე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში გავრცელდა რელიგიურ-ფილოსოფიური და რელიგიურ-პოლიტიკური დოქტრინები, რასიზმის, ძალადობის კულტის ქადაგება და სხვა.

§1. რ. იერიנגის მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართალზე

XIX საუკუნის II ნახევრის ევროპული იურისპრუდენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა იყო გერმანელი იურისტი *რუდოლფ ფონ იერინგი* (1818-1892). პროფესორი იერინგი მთელ რიგ გერმანულ უნივერსიტეტებში კითხულობდა რომის სამართლის კურსს. მან სახელი გაითქვა თავის სამტომიანი ნაშრომით „რომის სამართლის სული“, ასევე ნაშრომებით: „მიზანი სამართალში“, „ბრძოლა სამართლისათვის“, „რომის სამართლის განვითარების ისტორია“.

აღსანიშნავია, რომ იერინგის შემოქმედებაში განასხვავებენ ორ პერიოდს. პირველი გრძელდებოდა XIX საუკუნის 50-იან წლებამდე. ამ დროს იგი ემხრობოდა „ცნებათა იურისპუდენციის“ დებულებებს. ეს მიმდინარეობა თავის ძირითად საქმედ მიიჩნევდა ზოგადი ცნებებიდან კონკრეტული სამართლებრივი დებულებების გამოყვანას და სწორედ ცნებებში ხედავდა ცოდნის ძირითად წყაროს. ამ მიმდინარეობის მომხრეები სამართლის მეცნიერებაში, იერინგის სიტყვებით რომ ვთქვათ, თვლიდნენ, რომ ცნებები პროდუქტიულნი არიან, ისინი კომბინირებენ და ამის შედეგად

ქმნიან ახალ ცნებებს. იერიנגმა უარყო ეს მიმდინარეობა და XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო შემუშავება „ინტერესთა იურისპრუდენციისა“. იგი ატარებდა აზრს, რომ ლოგიკურის კულტი თეორეტიკოსი იურისტი-სათვის სრულიად უადგილოა, რადგანაც სამართალმცოდნეობა მათემატიკა არ არის და მასში პრიორიტეტი ლოგიკას არ უნდა ჰქონდეს. საკუთრივ ლოგიკა კი არ უნდა იყოს სამართალმცოდნეობის ობიექტი, არამედ ცხოვრებისეული ღირებულებანი, ადამიანთა რეალური ინტერესები. იერინგი დიდ ყურადღებას აქცევდა სამართლის არა ლოგიკურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს, არამედ მის სოციოლოგიურ-პრაგმატულ მომენტებსაც.

სამართლისა და სახელმწიფოს შესწავლისას მის მიერ გამოყენებულ მეთოდოლოგიაში, იგი, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობას ანიჭებდა ფაქტების აღწერას, კლასიფიკაციასა და ანალიზს. ემპირიული მასალის შესწავლასთან შედარებით ფილოსოფიური კონსტრუქციებით ოპერირება იერინგთან უკვე დამხმარე როლს ასრულებს. იერინგი სამართალს ორგანიზმს ადარებს და მას ბუნების პროდუქტის ყველა თვისებას ანიჭებს: ინდივიდუალობის, საკუთარი თავიდან ზრდის და ა.შ. სამართლის ზრდა ანუ განვითარება საკუთარი თავიდან მისდამი ისტორიულ მიდგომას მოითხოვს. ასეთი მიდგომის აუცილებლობას ასაბუთებს და გვიჩვენებს იგი „რომის სამართლის სულში“. ამას გარდა, იერინგი აღნიშნავს, რომ თითოეული ორგანიზმი შეიძლება დაექვემდებაროს ორმაგ გამოკვლევას: ანატომიურსა და ფიზიოლოგიურს. პირველის საგანია მისი შემადგენელი ელემენტები და მათი ურთიერთობა ერთმანეთთან, ე.ი. სტრუქტურა, მეორისა - მისი ფუნქციები. იერინგი მიზნად ისახავდა ორივე ამ გამოკვლევის ჩატარებას სამართლის მიმართ. ამ მიზნის რეალიზაციისას იერინგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამართლის ფუნქციის კვლევას, რადგანაც თვლის, რომ ნებისმიერ ორგანიზმში ფუნქციები მისი მიზნების მატარებელნი არიან (სამართლის ორგანიზმი ამ მხრივ გამონაკლისი არ არის), ხოლო მიზნებს იერინგი მიაწერს სამართალმემქმნელი ფაქტორის მნიშვნელობას. ამას ეხება მისი ნაშრომი „მიზანი სამართალში“.

თავის მეორე მნიშვნელოვან ნაშრომში იერინგი უფრო დაწვრილებით განიხილავს სამართლის ზოგად ცნებას. ამ ნაშრომში მას წამოყენებული აქვს ტელეოლოგიური თეორია, რომლის მიხედვითაც არ არსე-

ბობს რაიმე მოქმედება და მას საერთოდ აზრი არა აქვს მიზნის გარეშე. სამართალშემოქმედებაც განსაზღვრული მიზნით ხდება. იერიზის მიხედვით, სოციალური ცხოვრება მიზანშეწონილობის კანონს ემორჩილება, ხოლო სახელმწიფო და სამართალი სოციალური ცხოვრების შემადგენელი ნაწილებია. ადამიანის მიზანშეწონილი საქმიანობის საფუძველი, მამოძრავებელი მოტივი კი, იერიზის მიხედვით, არის ინტერესი. იგი გამოხატავს ადამიანის სუბიექტურ მისწრაფებას მიაღწიოს ამა თუ იმ მიზანს, მიიღოს ამასთან დაკავშირებით განსაზღვრული სარგებელი, სიკეთე. ინტერესი არის დამაკავშირებელი რგოლი მიზანსა და მოქმედ სუბიექტს შორის: მიზანი ხდება ინტერესის საგანი, წარმოიქმნება მიზნით დაინტერესება.

თავისი მატერიალური და სულიერი ინტერესების განხორციელებისას ადამიანი შედის სხვადასხვა ურთიერთობებში სხვა ადამიანებთან, ამგვარად, იერიზის მიხედვით, იქმნება საზოგადოება, როგორც სოციალური კავშირების სისტემა. ცალკეული ადამიანების მხრიდან საზოგადოებისათვის საშიში ექსცესების საწინააღმდეგოდ გამოიყენება იძულება, რომელიც ხორციელდება სამართლისა და სახელმწიფოს მეშვეობით.

სამართლისადმი ტელეოლოგიურ მიდგომას იერიზი მიჰყავს საკითხის დასმამდე, თუ კონკრეტულად ვინ არის სამართლის შემქმნელი, იგი ხომ ცარიელ ადგილზე არ წარმოიქმნება.

სამართალი, იერიზის მიხედვით, საზოგადოების მიერ იქმნება. საზოგადოებას იგი განმარტავს, როგორც ადამიანთა ერთობლივი მოქმედებების სფეროს, რომლებიც ერთიანდებიან საერთო მიზნებით. ამ სფეროში თითოეული მოქმედებს სხვებისთვის, მოქმედებს ასევე თავისთვის, ხოლო საკუთარი თავისთვის მოქმედებით იგი, ამასთან, სხვებისთვისაც მოქმედებს. მაგრამ იერიზთან სამართლის შემქმნელად გვევლინება არა ყოველგვარი, არამედ მხოლოდ სახელმწიფოებრივად ორგანიზებული საზოგადოება. ასეთ საზოგადოებას სათავეში უდგას სახელმწიფო აპარატი, რომელიც ახორციელებს საჯარო ხელისუფლებას. სწორედ ეს სახელმწიფო აპარატი, საბოლოო ჯამში, ქმნის სამართალს. იერიზი პირდაპირ მიუთითებს, რომ „სახელმწიფო - სამართლის ერთადერთი წყაროა“. იერიზი თვლის, რომ მრავალ მიზანთაგან, რომელიც სახელმწიფოს გააჩნია, უმთავრესი სწორედ სამართლის შექმნის მიზანია.

სამართლის შინაარსს, იერიზის მიხედვით, შეადგენს სოციალური ურთიერთობების სუბიექტთა ინტერესები, მაგრამ მხოლოდ ისეთები, რომლებიც საერთოა ყველა მისი მონაწილისათვის; სხვა სიტყვებით, საზოგადოების ინტერესები მთლიანობაში. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დაცული ინტერესი. იერიზი სამართალს ახასიათებს, როგორც ნორმების, ზოგადსავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობას. სამართლის განმარტებისას იერიზი არ არის ორიგინალური. იგი აღნიშნავს, რომ გავრცელებული განმარტების მიხედვით, სამართალი არის სახელმწიფოში მოქმედი იძულებითი ნორმების ერთობლიობა, და ასეთი განმარტება, მისი აზრით, სავსებით სწორია. იძულებითობა, რასაც სახელმწიფო ანიჭებს ზოგადსავალდებულო ქცევის წესს, იერიზისათვის არის ძირითადი, გადამწყვეტი ნიშანი იმისა, თუ რა არის არსებითად სამართალი და რა არ მიეკუთვნება მას. იერიზი მიუთითებს, რომ სამართლის კრიტერიუმი მდგომარეობს იძულებაში. ასე, რომ სამართალი მადლიერი უნდა იყოს სახელმწიფოსი არა მარტო წარმოშობის, არამედ არსებობის წესის გამოც.

იერიზი არსებითად არ მიჯნავს სამართალსა და კანონს. საკმაოდ ხშირად იგი ამ მოვლენებს იდენტურად თვლის, მაგრამ სინამდვილეში ისინი ასეთები არ არიან. უმრავლესი მისი მსჯელობები ფაქტობრივად მიმართულია კანონისადმი და არა სამართლისადმი. ეს გარემოება გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობაზე იერიზის შეხედულებების უფრო კონკრეტული შესწავლისას.

ახლა მოკლედ ამ უკანასკნელ საკითხსაც შევეხეთ. სახელმწიფო, იერიზის მტკიცებით, არის სოციალური იძულების ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია არა მარტო ქმნის სამართალს და უზრუნველყოფს მის არსებობას, არამედ მართავს კიდევ მას. ზრუნვა სამართალზე სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სამართალი არ უპირისპირდება სახელმწიფოს, არამედ არის მასზე მთლიანად დამოკიდებული დანამატი. ამასთან დაკავშირებით იერიზი აღნიშნავს, რომ სამართალი ხელისუფლების გარეშე არარაობაა, მოკლებულია ყოველგვარ რეალობას, რადგანაც მხოლოდ ხელისუფლება, რომელიც ცხოვრებაში ატარებს სამართლის ნორმებს, სამართალს აქცევს იმად, რაც იგი არის.

ერთობ უჩვეულოა, რომ იერიზი, რომელიც სამართალს განმარტავს

სახელმწიფოდან გამომდინარე, ამავე დროს, აუცილებლად თვლის, ^{იმ}ინ-
დივიდებს მიეცეს გასაქანი ეკონომიკური საქმიანობისათვის, უზრუნველ-
ყოფილ იქნეს მათი იურიდიული თანასწორობა, პოლიტიკური უფლებების
უზრუნველყოფა. იერინგი მხარს უჭერს მოსამართლეთა დამოუკიდებლო-
ბასა და შეუცვლელობას, მათ პასუხისმგებლობას მხოლოდ კანონის წინაშე
და ა.შ. იგი მომხრეა საზოგადოებაში მტკიცე დისციპლინისა და კანონიე-
რებისა, მკაცრი და სტაბილური წესრიგისა, რადგანაც მიაჩნია, რომ მხო-
ლოდ ამ წინაპირობების არსებობისას არის შესაძლებელი საზოგადოების
ცივილიზებული მოწყობა, ნორმალური სამართლებრივი ურთიერთობა,
სამართლიანობა.

იერინგის აზრით, თავდაპირველად სამართალს ცალმხრივად იძულებ-
ბითი ხასიათი ჰქონდა. იგი მიმართული იყო ქვეშევრდომებისადმი, რათა
აღკვეთილიყო მათი ზღვარგადაცილებული ზრუნვა კერძო ინტერესები-
სათვის. შემდგომში სამართალმა თანდათანობით შეიძინა ორმხრივ სა-
ვალდებულო ძალა - იგი სავალდებულო გახდა თვით სახელმწიფო ხელი-
სუფლებისათვის. იერინგი თვლის, რომ ზრუნვა თვითმენარჩუნებისათვის
აიძულებს ხელისუფლებას დაემორჩილოს სამართალს. ხელისუფალნი,
მისი აზრით, ბოლოს და ბოლოს რწმუნდებიან, რომ ისინი ქვეშევრდომებს
მართლწესრიგის, კანონისადმი მორჩილების გრძნობას, რის გარეშეც არ
არსებობს მყარი სახელმწიფოებრიობა, ისე ვერაფრით ვერ განუმტკიცე-
ბენ, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ სამართლის ნორ-
მების დაცვის მაგალითის მიცემით. თუმცა იერინგი სახელმწიფოსაგან
არც ელის და არც მოითხოვს კანონების პედანტურ დაცვას. მას ესმის,
რომ კანონით სახელმწიფო თვით ზღუდავს საკუთარი მოქმედებების თა-
ვისუფლებას. იერინგი სვამს კითხვას, თუ რამდენად არის ეს აუცილებელი
და აუცილებელია თუ არა ეს ყოველთვის, ყველა შემთხვევაში. ამ კითხვაზე
იერინგის პასუხი არ არის სამართლის ან კანონის სასარგებლოდ. იქსადაც
გარემოებები აიძულებენ სახელმწიფო ხელისუფლებას გააკეთონ არჩე-
ვანი საზოგადოებასა და სამართალს შორის, სახელმწიფო, იერინგის მტკი-
ცებით, არა მარტო უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა გასწიროს
სამართალი და გადაარჩინოს საზოგადოება. იერინგი არ ხსნის, თუ რა მო-
მენტშია აუცილებელი ასეთი არჩევანის გაკეთება და როგორ უნდა მოხდეს
თავის დაღწევა თვითნებობისაგან. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა

მისი სკეპტიკური დამოკიდებულება სამართლებრივი სახელმწიფოს იდეისადმი. იერინგი თვლის, რომ ასეთი სახელმწიფო უდღეურია და ერთი დღეც კი ვერ იარსებებდა.

იერინგს სამართალმცოდნეობის ნიადაგზე გადმოაქვს ბრძოლის კონცეფცია, რომელიც XIX საუკუნის II ნახევარში ფართოდ გავრცელდა ევროპულ სამეცნიერო წრეებში. საკმარისია გავიხსენოთ დარვინის თეორია არსებობისათვის ბრძოლისა, კლასობრივი ბრძოლის იდეა ისტორიოგრაფიასა და სოციოლოგიაში. იერინგს პოლემიკა ჰქონდა სამართლის ისტორიული სკოლის წარმომადგენლებთან (სავინი, პუხტა), რომლებიც თვლიდნენ, რომ სამართლის წარმოშობა და განვითარება ხდება შეუმჩნევლად, უმტკივნეულოდ და მშვიდობიანად, როგორც ენის ჩამოყალიბება და ევოლუცია. იერინგი ნაშრომში „ბრძოლა სამართლისათვის“ ამტკიცებს სრულიად საწინააღმდეგოს: რომ სამართლის სიცოცხლე არის ბრძოლა, ბრძოლა ხალხებისა, სახელმწიფო ხელისუფლებისა, წოდებებისა, ინდივიდებისა. იერინგის მიხედვით, ყოველგვარი სამართალი მიღწეულ უნდა იქნეს ბრძოლით. სამართლისათვის ბრძოლა იმ მიზნის მიღწევას ნიშნავს, რომელსაც სახელმწიფო ისახავს.

§2. სახელმწიფოს სოციოლოგიური თეორია.

ლ. გუმპლოვიჩი

თავის დროზე სახელგანთქმული ავსტრიელი სოციოლოგისა და იურისტის *ლუდვიგ გუმპლოვიჩის* (1839-1909) ძირითადი ნაშრომები სახელმწიფოს შესახებ შემდეგია: „რასა და სახელმწიფო. გამოკვლევა სახელმწიფოს ფორმირების კანონის შესახებ“, „ზოგადი სახელმწიფო სამართალი“. თავის მსოფლმხედველობას გუმპლოვიჩი უწოდებს რეალისტურს. მის ჩარჩოებში და სოციოლოგიის პოზიციებიდან გამომდინარე იგი განიხილავს სახელმწიფოს წარმოშობის, არსის, ორგანიზაციისა და როლის პრობლემებს.

გუმპლოვიჩის მიხედვით, ბრძოლა არსებობისათვის წარმოადგენს სოციალური ცხოვრების ძირითად ფაქტორს, სახელმწიფო მთლიანად მოქცეულია ამ ფაქტორის მოქმედების სფეროში. ეს ბრძოლა კაცობრობის მუდმივი თანამგზავრია და საზოგადოებრივი განვითარების მთავარი სტი-

მულატორია. პრაქტიკულად იგი გამოიხატება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის ბრძოლაში. თითოეული ჯგუფი მისწრაფვის დაიმორჩილოს სხვა ჯგუფი და დაამყაროს მასზე თავისი ბატონობა. ისტორიის უმაღლესი კანონი ასეთია: ძლიერები ამარცხებენ სუსტებს, ძლიერები დაუყოვნებლივ ერთიანდებიან, რომ ერთობლივად დაძლიონ მესამე, ასევე ძლიერი და ა.შ.

ადამიანთა ჯგუფებს შორის მუდმივი უღმობელი ბრძოლის მიზეზებს იგი არაერთმნიშვნელოვნად ხსნის. ერთი მხრივ, ამის მიზეზად იგი ასახელებს მათ შორის რასობრივ განსხვავებას (თუმცა რასა მისთვის, უპირველეს ყოვლისა, სოციალ-კულტურული ფენომენია და არა ბიოლოგიური). მეორე მხრივ, სოციალური კონფლიქტების მიზეზად იგი მიიჩნევს ადამიანთა სწრაფვას თავისი მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ მისწრაფებას გუმპლოვიჩი თითქმის უნივერსალურ ხასიათს ანიჭებს. იგი აღნიშნავს, რომ ყოველთვის და ყველგან ეკონომიკური მოტივები ყოველგვარი სოციალური მოძრაობის მიზეზს წარმოადგენენ, და განაპირობებენ მთელ სახელმწიფოებრივ და სოციალურ განვითარებას. გუმპლოვიჩი თვლის, რომ ყველაზე შორეულ ეპოქაში კონფლიქტები, ომები ცალკეულ გვარებს შორის ამა თუ იმ ქონების დაუფლებისათვის, მთავრდებოდა დამარცხებული ჯგუფის განადგურებით. უფრო მოგვიანებით ასეთი ჯგუფების ადამიანებს ცოცხლად ტოვებდნენ, თუმცა აქცევდნენ მონებად და ექსპლუატაციას უწევდნენ. გამარჯვებულებს (ესენი იყვნენ რასები უფრო მაღალინტელექტუალური და უკეთესი სამხედრო დისციპლინით), რომ განემტკიცებინათ თავისი გაბატონებული მდგომარეობა და მორჩილებაში ჰყოლოდათ დამარცხებულნი, მათ უნდა გაეტარებინათ რიგი ორგანიზაციული და სხვა ღონისძიებები. სწორედ ამ ღონისძიებების შედეგი იყო სახელმწიფო.

ამიერიდან რასებსა და სახელმწიფოებს შორის ომებს დაემატა ბრძოლა თვით სახელმწიფოს შიგნით. ის, რაც ოდესღაც იყო ბრძოლა ანთროპოლოგიურად განსხვავებულ ურდოებს შორის, ცივილიზაციის სტადიაზე ტრანსფორმირდება ბრძოლად სოციალურ ჯგუფებს, კლასებს, წოდებებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის.

უნდა ითქვას, რომ პირველყოფილი ურდოების კონფლიქტების შედარება (თუ გაიგივება არა) თანამედროვე კლასებსა და პოლიტიკურ პარ-

ტიებს შორის ურთიერთობებთან, მეცნიერული თვალსაზრისით არ შეიძლება კორექტულად ჩაითვალოს.

ამრიგად, გუმპლოვიჩი თვლიდა, რომ სახელმწიფო წარმოიშობა ადამიანთა ერთი ჯგუფის (სუსტები, დამარცხებულები) მეორეს (ძლიერები, გამარჯვებულები) მიერ დამორჩილების შედეგად, როგორც დამორჩილებულელებზე ბატონობის შენარჩუნების საშუალება. აქედან გამომდინარე, გუმპლოვიჩი წინააღმდეგია, რომ სახელმწიფო დახასიათებულ იქნეს, როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების შერიგების, დაშოშმინების ორგანო. იგი იძულების, ძალადობის ორგანოა. გუმპლოვიჩის მიხედვით, საზოგადოების არსებობა სახელმწიფო იძულების გარეშე შეუძლებელია.

ყველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გუმპლოვიჩი სახელმწიფოს ასე განმარტავს, რომ ეს არის ბუნებრივად ჩამოყალიბებული ბატონობის ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია დაიცვას განსაზღვრული სამართლებრივი წესრიგი. გუმპლოვიჩის მიხედვით, სახელმწიფოს აქტიურობა არ შემოიფარგლება მხოლოდ განსაზღვრული მართლწესრიგის გარანტიებით. იგი განსაკუთრებით აზვიადებს სახელმწიფოს როლს. ამ მხრივ ტიპურია მისი შემდეგი გამონათქვამი, რომ ყველაფერ მნიშვნელოვანს, რასაც ადამიანი ფლობს: თავისუფლებასა და საკუთრებას, ოჯახსა და პირად უფლებებს, უნდა უმაღლოდეს სახელმწიფოს. მაგრამ არა მხოლოდ ინდივიდი იღებს უმაღლეს ღირებულებებს სახელმწიფოსაგან, არამედ მთელი ერთობლიობა ადამიანებისა, რომლებიც ქმნიან სახელმწიფოს, სწორედ მისი წყალობით ახორციელებენ ღირსეულ ადამიანურ არსებობას. აქ მოყვანილი მოსაზრება სახელმწიფოს აშკარა აპოლოგიის მაგალითია. გუმპლოვიჩმა ავსტრიულ ნიადაგზე გააგრძელა სახელმწიფოებრიობის კულტის იდეურ-თეორეტიკული დასაბუთება.

გუმპლოვიჩის მიერ სამართლის საკითხების ინტერპრეტაცია სახელმწიფოზე მის შეხედულებებს ეფუძნება. გუმპლოვიჩის აზრით, სამართლის შექმნაში გადაწყვეტი როლი სახელმწიფოს ეკუთვნის. სახელმწიფომდე მდგომარეობაში არ იყო არავითარი სამართალი. მხოლოდ მაშინ, როდესაც ზნეობრიობა კრისტალიზირდება სახელმწიფო კანონებში, იგი იქცევა სამართლად, ეს უკანასკნელი კი თავის დაბადებასაც და შემდგომ არსებობასაც სახელმწიფოს უნდა უმაღლოდეს.

გუმპლოვიჩი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოსათვის სამართალი და

მართლწესრიგი მხოლოდ საშუალებებია და სხვა არაფერი. ისინი ფიზიკურად არ არსებობენ სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი, ავტონომიური წარმონაქმნების სახით, ამიტომ გუმპლოვიჩი უარყოფს „ადამიანის გაუსხვისებელი უფლებების“ არსებობას. მისი აზრით, სახელმწიფო სრულიად შეუთავსებელია ამ უფლებებთან და ადამიანებმა უნდა აირჩიონ, ან სახელმწიფო მისთვის დამახასიათებელი მბრძანებლურობით, ან ანარქია. თუმცა უნდა ითქვას, რომ გუმპლოვიჩმა ძალზედ შეზღუდა პოლიტიკური არჩევანის დიაპაზონი. მისი ეპოქის ადამიანებს უკვე ჰქონდათ შესაძლებლობა აერჩიათ არა მხოლოდ სახელმწიფოსა და ანარქიას შორის, არამედ სახელმწიფოს სხვადასხვა კონკრეტულ ფორმებსა და მბრძანებლობის ტიპებს შორის.

§3. ნეოკანტიანური მოძღვრება სამართალზე.

რ. შტამლერი

გერმანული პოლიტიკურ-იურიდიული აზროვნებისათვის დამახასიათებელი იყო ძალისხმევა ფილოსოფიაზე დაყრდნობით ჩამოეყალიბებინათ მეცნიერული ცოდნა სამართლის შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია რუდოლფ შტამლერის (1856-1938) შემოქმედება. მას სამართლის თეორიის შესახებ ეკუთვნის შემდეგი ნაშრომები: „მეურნეობა და სამართალი ისტორიის მატერიალისტური გაგების თვალსაზრისით“, „იურისპრუდენციის თეორია“, „სამართლის ფილოსოფია“.

სამართლის შესახებ შტამლერის შეხედულებების საფუძველი იყო ნეოკანტიანელობის ის ვარიანტი, რომელიც განვითარდა ე.წ. მარბურგის სკოლის მიერ (ჰ. კოჰენი, პ. ნატორპი და სხვები) და წარმოადგენს ნეოკანტიანელობის ტრანსცენდენტალურ-ლოგიკურ მიმდინარეობას. ამ ფილოსოფიური მიმართულების მიმდევრებმა უარყვეს კანტისეული „თავისთავადი ნივთი“, ე.ი. ობიექტური ყოფიერება, რომელიც ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელია.

შტამლერი იზიარებდა ნეოკანტიანელთა სკოლის წარმომადგენელთა ფილოსოფიურ და პოლიტიკურ შეხედულებებს. იგი აკრიტიკებდა ისტორიის მატერიალისტურ კონცეფციას, სოციალურ მატერიალიზმს (ე.ი. მარქსიზმს). ამასთან, უარყოფდა ძირითად მარქსისტულ თეზისს ეკონო-

მიკის პირველადობისა და სამართლის, პოლიტიკური დაწესებულებების მეორეულობის შესახებ და თეზისს სამართლის ეკონომიკისადმი დამორჩილების შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ ყოველგვარი პოლიტიკურ-ეკონომიკური გამოკვლევის, სოციალური თვალსაზრისით სახალხო მეურნეობის ყოველგვარი შესწავლის საფუძვლად გვევლინება სამართლებრივი რეგულირება. ამგვარადვე, შტამლერი სახელმწიფოს ფუნდამენტად მიიჩნევს არა წარმოებითი ურთიერთობების ერთობლიობას, საზოგადოების ეკონომიკურ ბაზისს, არამედ სამართალს. იგი სახელმწიფოს საფუძველი და წინაპირობაა. შტამლერის აზრით, შეუძლებელია სახელმწიფოს ცნების ფორმულირება სამართლის ცნების წამძღვარების გარეშე. შესაძლებელია სამართლებრივი წყობა განისაზღვროს ისე, რომ ამას არავითარი კავშირი არ ჰქონდეს სახელმწიფოებრივ ორგანიზაციასთან, მაგრამ შეუძლებელია საუბარი სახელმწიფო ხელისუფლებაზე, თუ ეს წამძღვარებული არ იქნება იურიდიული ნორმებით.

შტამლერს მარქსისტული დოქტრინა მიაჩნია დაუსრულებლად და მოუფიქრებლად თუნდაც იმის გამო, რომ მარქსიზმში კრიტიკულად არ არის განხილული და დამაჯერებლად ახსნილი გამოყენებული ძირითადი ცნებები: საზოგადოება, ეკონომიკური ფენომენები, წარმოების საზოგადოებრივი წესი და სხვა. თუმცა მარქსისტებიც არ რჩებოდნენ ვალში და აკრიტიკებდნენ სახელმწიფოსა და სამართლის შტამლერისეული განმარტების იდეალისტურ-ფილოსოფიურ სარჩულს, მისი პოლიტიკური პოზიციის ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ორიენტაციას.

საკმაოდ გართულებულად გამოიყურება შტამლერისეული სამართლის ზოგადი განმარტება. მისი სიტყვებით სამართალი არის „ადამიანთა სოციალური ცხოვრების ურღვევი თვითნებური რეგულირება“. ამ განმარტებაში შტამლერი სამართლის უმნიშვნელოვანეს თავისებურებად მიიჩნევს მის „ურღვევობას“, რაშიც იგულისხმება ის, რომ ვინც ნორმა დაადგინა, თვითონაც უნდა იყოს შეზღუდული ამ ნორმით. სანამ ასეთი დამოკიდებულება თანაბრად არსებობს დაქვემდებარებულისთვისაც და ნორმის დამდგენისთვისაც, სანამ იგი ერთნაირად სავალდებულოა ორივესათვის, მანამ სამართალი არსებობს. ასევე ამ განმარტებაში გამოიჯნულია „სამართალი“ და კანონმდებლის „თვითნებობა“, ე.ი. მისი ისეთი მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის ზოგად პრინციპებს. ასევე

გამიჯნულია სამართალი ზნეობრივი ნორმებისაგან. ზნეობის ნორმების აღსრულება ადამიანებზეა დამოკიდებული, ხოლო სამართლებრივი რეგულირება კი, როგორც სამართლის განმარტებიდან ჩანს „თვითნებურია“, ე.ი. ზემოქმედებს სამართლისადმი დაქვემდებარებულ ინდივიდებზე იმისა და მიუხედავად ისინი თანახმანი არიან ამისა თუ არა.

ძალზედ საინტერესოა შტამლერის მსჯელობა სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობაზე. იგი პრინციპულად განსხვავდება იერიინგის პოზიციისაგან, რომელიც თვლიდა, რომ სამართალი არ არსებობს სახელმწიფოს, სახელმწიფოებრივი იძულების გარეშე. შტამლერის აზრით კი, იურიდიული ნორმები წარმოიშობიან, დგინდებიან და იწყებენ მოქმედებას სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისაგან დამოუკიდებლად.

შტამლერის აზრით, არ არსებობს სამართლებრივი დებულება, რომელიც ყოველთვის მხოლოდ სამართლიანია ანდა მხოლოდ და მხოლოდ უსამართლოა ნებისმიერ სიტუაციაში. სამართლისათვის, შტამლერის აზრით, დამახასიათებელია სწრაფვა სოციალური იდეალისაკენ, მაგრამ იგი საბოლოოდ არასდროს არ ჩერდება რაიმე ერთ ისტორიულ პუნქტში. მუდმივად იცვლება შინაარსი იმისა, რაც ადრე სამართლიანად ითვლებოდა. შტამლერი აღნიშნავს: „კაცობრიობის ზვედრია ყოველთვის ატაროს სულ უფრო უკეთესი და უკეთესი გაგება იმისა, რაც ითვლება სამართლიანად განსაზღვრულ საკითხებზე“. ამით შტამლერს თავისი სამართლებრივი შეხედულებების სისტემაში შემოაქვს განვითარების პრინციპი, რომლის გამოხატულებასაც წარმოადგენს ცვალებადი შინაარსის მქონე ბუნებითი სამართლის კატეგორია, რომელიც გარკვეულწილად თანამეწყობილი აღმოჩნდა XX საუკუნეში დაწყებული ბუნებითი სამართლის კონცეფციის აღორძინების პროცესისა.

§4. ჯ. ოსტინის მოძღვრება სამართალზე

იურიდიული პოზიტივიზმის წარმოშობას ჩვეულებრივ უკავშირებენ ინგლისელი სამართალმცოდნის *ჯონ ოსტინის* (1790-1859) სახელს, რომელიც XIX საუკუნის 20-იან წლებში ხელმძღვანელობდა იურისპრუდენციის პირველ კათედრას ლონდონის უნივერსიტეტში, აქვე ლექციების ციკლში სახელწოდებით „იურისპრუდენციის საგნის განსაზღვრა“, მან

რუდოლფ ფონ იერინგი

ბრძოლა უფლებებისათვის

გერმანიულიდან თარგმნა
იაზონ ბაქრაძემ
წინათქმა და რუსულიდან თარგმანი
ზაზა ნანობაშვილისა

თბილისი
2000

ISBN 9953-2-10-1-2

* * *

მიზანი უფლებისა არის მშვიდობა, საშუალება კი ამ მიზნის მისაღწევათ ბრძოლა არის. სანამ უფლება იძულებულია მზათ იყოს უსამართლობის მოსაგერებლათ, — და ეს კი ასე იქნება, სანამ ქვეყანა არსებობს, — მანამდის ბრძოლა მისთვის აუცილებელია. უფლების სიცოცხლე ბრძოლაა, ბრძოლა ხალხთა, ბრძოლა მართებლობისა, წოდებათა და ინდივიდთა.

ყოველი უფლება ქვეყანაზე ბრძოლით მოპოვებულია, ყოველი მნიშვნელოვანი სიტყვა უფლებისა დამყარებულია მათთან ბრძოლით, ვინც მისი წინააღმდეგი იყო; ყოველი უფლება ხალხისა თუ კერძო პირისა თხოულობს მარად მზად ყოფნას მის დასაცავად. უფლება მარტო აზრი კი არ არის — იგი ცოცხალი ძალაა. ამიტომაც მართლმსაჯულების ქაღალდის ერთს ხელში უჭირავს სასწორი, მეორე ხელში ხმალი: სასწორით იგი სწონის უფლებას, ხმლით კი ამყარებს და იცავს მას. ხმალი უსასწოროთ წმინდა ძალადობაა, სასწორი კი უხმლოთ არის უძღურება უფლებისა; ესენი ორივე შეკავშირებულნი არიან, და უფლების სრული მეუფე-ბაც მხოლოდ იქ არის, სადაც მართლმსაჯულების ხმლის ძლიერება მისი სასწორის ხმარების სიმარჯვეს უდრის.

უფლება არის შეუწყვეტელი შრომა არა მარტო მართებლობისა, არამედ მთელი ერისა. უფლების მთელი სიცოცხლე, ერთბაშათ რომ თვალი გადავაგლოთ, წარმოგვიდგენს მთელი ერის ბრძოლისა და მუშაობის იმავე სურათს, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ეკონომიურსა და სულიერ წარმოებათა სარბიელზე.

ყოველი კერძო პირი, რომელიც იძულებულია თავისი უფლება დაიცვას, მონაწილეობას ღებულობს ამ ეროვნულ მუშაობაში და შეაქვს თვისი წვლილი უფლების იდეის განხორციელებაში ქვეყანაზე. რა თქმა უნდა, ყველასაგან ერთნაირათ არ არის მოსალო-

დნელი იგი წვლილი. უზრუნველათ და გაუჭირვებლათ მიმდინარეობს ათას ინდივიდთა სიცოცხლე უფლების გატკეპნილ გზაზე; ამგვარ ადამიანს რომ უთხრათ, უფლება ბრძოლა არისო, ის ამას ვერ გაიგებს, რადგან ის უფლებას იცნობს, როგორც მშვიდობისა და წესიერების მეუფებას. მისი გამოცდილების პატრონისაგან ეს გასაკვირველიც არ არის. ის მართალია სწორეთ ისე, როგორც მდიდარი მეძვიდრე, რომელსაც სხვათა ნაშრომი და ნაღვაწი სიმდიდრე მისდა გაუსჯელათ კალთაში ჩაუვარდა და უარპყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ საკუთრება შრომის ნაყოფი არის. მათი შეცდომის მიზეზი ისაა, რომ როგორც საკუთრებას, ისე უფლებასაც ორი მხარე აქვს: ზოგს ერთი მხარე ხვდება წილად, ზოგს მეორე მხარე, ზოგს სიამოვნება და მშვიდობა, ზოგსაც შრომა და ბრძოლა.

საკუთრება და უფლება იანუსის ორსახიან თავსა ჰგავან: როცა ერთი ადამიანი სკენ ერთს მხარეს მიაქცევვენ, იმავე დროს მეორე მხარეს მეორესაკენ მიიბრუნებენ; აქედან წარმოდგება სხვადასხვაობა იმ სურათებისა, რომელთაც ერთსა და იმავე დროს სხვა და სხვა პირები ხედავენ.

უფლების შესახებ ასეთი შედარება შესაფერია როგორც მაშინ, როცა ცალკე ინდივიდებზე ვლაპარაკობთ, ისე მაშინაც, როცა მთელ ეპოქებზე გვაქვს მსჯელობა. ერთის ცხოვრება ომი არის, მეორესი მშვიდობა, და ეს ორი მოვლენა, — ომი და მშვიდობა — იმნაირათ არიან განაწილებულნი სხვა და სხვა ხანათა შუა, რომ მთელი ერები იმნაირათვე ცდებიან, როგორც ცალკე პირნი.

დგება გრძელი ხანა მშვიდობისა და საუცხოვოთ იფურჩქნება რწმენა მარადისი მშვიდობიანობისადმი, სანამ პირველი ზარბაზანი არ დააბრთხობს ამ მშვენიერ სიზმარს და ერთი თაობა, რომელიც უზრუნველათ სარგებლობდა მშვიდობით, არ დაუთმობს ადგილს მეორე თაობას, რომელიც უკვე იძულებული ხდება იგი მშვიდობა კვლავ მოიპოვოს მძიმე შრომითა და ომით. ამგვარათ არის განაწილებული როგორც საკუთრებაში, ისე უფლებაშიაც შრომა და სი-

ამოწმება; ვინც მშვიდობით ცხოვრობს და სტკებება, იმისთვის სხვამ უნდა იშრომოს და იბრძოდოს. მშვიდობა უბრძოლველათ და სიამოვნება უშრომლათ სამოთხის დროებს ეკუთვნის; ნამდვილი ისტორია კი როგორც საკუთრებას, ისე უფლებას იცნობს მხოლოდ ვითარცა შედეგს განუწყვეტელი მძიმე შრომისას.

ქვეით განვმარტებ იმ აზრს, რომ ბრძოლა არის უფლების მუშაობა, და რომ ბრძოლა თავისი მიუცილებლობით და ზნეობრივი მნიშვნელობით იგივეა უფლებისათვის, რაც საკუთრებისათვის შრომა არის. მგონია ამის განმარტება უსარგებლო არ იქნება, პირიქით, ამ გზით გავასწორებ კიდევ იმ შეცდომას, რომელიც ჩვენმა თეორიამ ჩაიდინა (მე ვგულისხმობ არა მარტო უფლების ფილოსოფიას, არამედ პოზიტიურ იურისპრუდენციასაც); ჩვენს თეორიას ცხადათ ემჩნევა, რომ მას უფრო ხშირათ მართლმსაჯულების სასწორთან ჰქონია საქმე, ვიდრე მის ხმალთან; მას ეტყობა ცალმხრივობა, მაში სჭარბობს წმინდა მეცნიერული შეხედულება; ამ ცალმხრივი შეხედულებით ზომავს და არკვევს იგი უფლებას; ეს თეორია წარმოგვიდგენს უფლებას არა მისი რეალური სახით, როგორც ძალის ცნებას, არამედ მისი ლოღიკური სახით, ვითარცა უფლების განყენებულ დებულებათა სისტემას. ასეთმა ცალმხრივობამ, მე მგონი უფლება წარმოგვიდგინა იმ სახით, რომელიც სასტიკ სინამდვილეს არ შეეფერება, არა ჰგავს. ამ საყვედურის დამასაბუთებელ მაგალითებს ქვეით ბევრს იპოვნის მკითხველი.

როგორც ვიცით, სიტყვა “უფლება” იხმარება ორნაირი აზრით — ობიექტიურითა და სუბიექტიურით. უფლება ობიექტიური აზრით არის ერთობით იგი, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული, ძირითადი დებულებანი, რომელნიც წესრიგს ამყარებენ საზოგადოებაში, ე.ი. ცხოვრების კანონიერი წესრიგი. უფლება სუბიექტიური აზრით კი არის ობიექტიურ, განყენებულ ნორმათა ანუ დებულებათა საქმით მოხმარება ადამიანისაგან თავისი ინტერესების დასაცავად. ორივე შემთხვევაში უფლებას დაბრკოლება ეღობება წინ და ორივე შე-

მთხვევაში უფლება იძულებულია სძლიოს იგი დაბრკოლება, ე.ი. თავისი არსებობა ბრძოლით განამტკიცოს. ჩემი მსჯელობის საგნად ავირჩიე სუბიექტიური უფლება, ხოლო ამასთანავე ჩემს მოვალეობად ვთვლი დავამტკიცო, რომ ორივე შემთხვევაში ბრძოლა მტკიცეთ დაკავშირებულია უფლების არსებობასთან.

ეს აზრი, უეჭველია, განუძარტებლათაც ცხადია მაშინ, როცა სახელმწიფო იცავს უფლებას. მის მიერ წესიერების დაცვა არის განუწყვეტელი ბრძოლა უკანონობასთან, რომელიც წესიერების დარღვევას ცდილობს. მაგრამ საქმე სულ სხვანაირათ არის, როცა კითხვა უფლების წარმოშობას შეეხება; ზემო აღნიშნულ აზრს უკვე განძარტება სჭირდება, როცა ვლასპარაკობთ უფლების გაჩენაზე ისტორიის დასაწყისშივე, უფლების ყოველდღიურ განახლებაზე, არსებულ დაწესებულებათა მოსპობაზე, ძველი კანონების ახალთა მიერ განდევნაზე, ერთი სიტყვით საკითხი რთულდება და ძნელდება, როცა უფლების განვითარებას ვეხებით. ჩემს შეხედულებას, რომელიც უფლების არსებობას და მის განვითარებას ერთსა და იმავე კანონებს უქვემდებარებს, სრულებით ეწინააღმდეგება ის შეხედულება, რომელიც ახლა საერთოთ მიღებულია, ჩვენი რომანისტიების¹ მეცნიერებაში მაინც, და რომელსაც მე მოკლეთ ვუწოდებ სავინიპუხტას თეორიას უფლების წარმოშობაზე. ამ თეორიის შეხედულებით უფლება ჩნდება და ვითარდება ისე შეუმჩნეველათ და უტკივრათ, როგორც ენა; იგი არ საჭიროებს არც ჭიდილს, არც ბრძოლას, არც ძებნას; იგი არის ჭეშმარიტების იდუმალ მომქმედი ძალა, რომელიც ნელა და გაუჭირვებლათ, მაგრამ მტკიცეთ ივლევს გზას; იგია ძალა რწმენისა, რომლითაც ადამიანი თან და თან იმსჭვალება და რომელიც ადამიანის მოქმედებით მჟღავნდება... უფლების რომელიმე დებულება სიცოცხლეს იწყებს ისე ადვილათ და დაუბრკოლ-

¹ რომანისტი იმ იურისტს ეწოდება, რომელსაც თავისს სპეციალ საკვლევ საგნად ძველი რომაული უფლება გაუხდია. მთარგმნელი.

არის ხოლმე ატეხილი, რომელთათვისაც არავითარი სხვერპლი არ იქნება მეტი; ეს უგზურთათვისაც კი აშკარაა, და არავინ არ ივითხვას: ბრძოლა რა საჭიროა? დათმობა არ სჯობსო? ხოლო აქ კი, კერძო უფლებრივი ბრძოლის დროს, საქმე სულ სხვანაირათ არის. შედარებითი სიმცირე და უმნიშვნელობა დასაცავი ინტერესებისა, მუდმივი კითხვა “ჩემსაზე” და “შენსაზე” და ამ კითხვასთან დაკავშირებული გაუქრობელი პროზა საზღვრავენ ამ ბრძოლას განსაკუთრებით ფხიზელი ანგარიშისა და ცხოვრების თვალთ. ეს ბრძოლა სწარმოებს წინდაწინვე აღნიშნული, განსაზღვრული ფორმით, ამ ბრძოლას მექანიკური ხასიათი აქვს და აქ ვეღარ იჩენს თავს პიროვნება ძლიერ და თავისუფალი მოქმედებით; მაგრამ ეს გარემოებანიც კი ვერ ასუსტებენ იმ ცუდ შთაბეჭდილებას, რომელსაც ჩვენზე კერძო უფლებისათვის ბრძოლა ახდენს. თქმა არ უნდა, რომ ისეთი დროც იყო, როცა ბრძოლა თვითონ პიროვნებას ეხებოდა და მაშინ ამ ბრძოლის მნიშვნელობა უფრო ცხადათ ჩანდა, უფრო თვალსაჩინოთ ხდებოდა, როცა ჯერ კიდევ ხმალი სწყვეტდა “შენჩემობის” კითხვებს, როცა საშუალო საუკუნეების რაინდი თავის მეტოქეს ხმალში იწვევდა, მაშინ გარეშე მაყურებელიც კი უნებურათ გრძნობდა, რომ აქ ბრძოლა არის არა ნივთის ღირებულობისათვის, არა ქონებრივი ზარალის ასაცილებლად, არამედ მისთვის, რომ აქ საბრძოლ საგნად გამხდარა თვით პიროვნება, მისი უფლება, მისი ღირსება და თავმოყვარეობა.

მაგრამ საჭირო არ არის დიდი ხნის გამჭრალ გარემოებათა კვლავ მოგონება იმის ასახსნელად, რაც, თუ ფორმით არა, არსებითათ მანც დღესაც იგივეა, რაც მაშინ იყო; ახლანდელი ცხოვრების მოვლენებზე ერთი თვალის გადავლება და აგრეთვე პსიხოლოგიური თვითდაკვირვება გაგვიწვევენ იმავე სამსახურს.

→ უფლების დარღვევა ყოველ უფლებამოსილ ადამიანს წინ უყენებს კითხვას: დაიცვას დარღვეული უფლება, ეწინააღმდეგოს მოპირდაპირეს ე.ი. ბრძოლოს, თუ ბრძოლის თავიდან ასაცილე-

ბლად ხელი აიღოს ამ უფლებებზე? ამ საკითხის გარდაწყვეტა თვითონ იმ პირზეა დამოკიდებული. რომელი გზაც უნდა აირჩიოს ადამიანმა, ორივე შემთხვევაში სხვერპლი აუცილებელია: პირველ შემთხვევაში მშვიდობა ემსხვერპლება უფლებას, მეორე შემთხვევაში კი უფლება მშვიდობას. როგორც ვხედავთ კითხვა ასე დატრიალდა: რომელი სხვერპლი უფრო ადვილი ასატანია დაინტერესებული პირისათვის ყოველ ცალკე შემთხვევაში? მდიდარი საბრძოლ მცირე საგანზე ხელს აიღებს მშვიდობის დასაცავად, ხოლო ღარიბი-კი, რომლისათვისაც ამ მცირე საბრძოლ საგანს მეტი მნიშვნელობა აქვს, ისევ ბრძოლას არჩევს. გამოდის, რომ უფლებისათვის ბრძოლაზე კითხვა არის საანგარიშო ამოცანა, რომელშიაც აწონილი უნდა იქნენ ზარალი და სარგებლობა ორივე ხსენებულ შემთხვევაში და, იმისდა მიხედვით, თუ რომელი დასძლევს, უნდა იქნეს მიღებული ესე თუ ის გარდაწყვეტილება.

მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ცხოვრებაში ეს ასე არ ხდება. ყოველ დღე ვხედავთ ისეთ პროცესებს, სადაც სადავო საგნის ღირებულობა სრულებითაც არ შეესაბამება იმ შრომის, ღელვის და ხარჯის რაოდენობას, რომელიც საჭიროა პროცესისათვის. რასაკვირველია არავინ არ დახარჯავს ორ მანეთს წყალში ჩავარდნილ ერთი მანეთის ამოსაღებად, — აქ კითხვა პირდაპირ ანგარიშზეა დაყენებული, იმაზე, თუ რავდენი დაეხარჯება ამ საქმისათვის. რატომ ამგვარივე ანგარიშით არ ხელმძღვანელობს ადამიანი პროცესში ანუ საჩივარშიაც? იმას ხომ ვერ იტყვის, საქმეს უთუოთ მოვიგებ და ხარჯიც ჩემს მოპირდაპირეს დააწვებაო. იურისტებმა კარგათ იციან, რომ ხშირათ მომჩივნები საჩივარზე ხელს არ იღებენ მაშინაც კი, როცა დარწმუნდებიან, რომ საქმის მოგება მათ ძვირათ დაუჯდებათ. ვეჭილები, რომელნიც თავიანთ მარწმუნებელთ უხსნიან საქმის წაგების ნიშნებს და ურჩევენ საჩივრის მოსპობას, ხშირათ ასეთ პასუხს ღებულობენ: რავდენათაც უნდა დამიჯდეს, საჩივარი უნდა განვაგრძოვო.

როგორ უნდა ავხსნათ ასეთი მოქმედება, რომელიც, თუ გონიერი და ფხიზელი ანგარიშის თვალთ გავსინჯავთ, სწორეთ რომ უაზრობაა?

ამ კითხვაზე ჩვეულებრივად ამგვარ პასუხს იძლევიან: ამის მიზეზი არის სამწუხარო წყურვილი საჩივრისა, დავისა და ბრძოლისა, სურვილი მეტოქის დამარცხებისა და მისი ჯავრის ამოყრისა, თუნდა ეს ჯავრის ამოყრა ძვირათაც ჯდებოდეს.

ჯერ-ჯერობით მივატოვოთ კერძო პირთა შორის ბრძოლაზე საუბარი და მათი ადგილი ამ მსჯელობაში ორს ხალხს დავუთმოთ. ვთქვათ, ერთმა მეორეს უკანონოთ წაართვა ერთი ოთხუთხი მილი მწირი, უვარგისი მიწა, – უნდა დაიწყოს მეორემ ომი თუ არა? აქაც იმ მხრით შევხედოთ საქმეს, რა მხრითაც დავაქრობის ე.ი. ჩივილის მოყვარულობის თეორია არჩევს გლეხის საქციელს, რომელსაც მუზობელმა ერთი ბარის პირი მიწა ჩამოუკვეთა ყანაზე ან და ყანაში ქვები ჩაუყარა. რა არის ერთი მილი ადგილი ომთან შედარებით, რომელიც ათასსა და ათი ათას ადამიანს სიცოცხლეს უსპობს, რომელსაც შეაქვს ქონშიაც და სასახლემშიაც მწუხარება და უბედურება, ნთქავს სახელმწიფო ქონებიდან მილლიონებს და მილლიარდებს და ასე თუ ისე თვით სახელმწიფოს არსებობასაც კი განსაცდელში აგდებს! რა უგუნურებაა ასე მცირე საგნისათვის ამოდენი სხვერპლის გაღება!

ასეთი უნდა იყოს მსჯელობა, რომ გლეხი და ხალხი ერთი და იმავე საზომით გაიზომებოდეს; მაგრამ ხალხს არავენ არ მისცემს იმგვარ რჩევას, როგორსაც აძლევენ გლეხს. ყოველი ადამიანი გრძნობს, რომ ის ერი, რომელიც მორჩილებით ითმენს ასეთ უფლებების შელახვას, თავის საკუთარს სასიკვდილო განაჩენს ხელს აწერს. თუ რომელიმე ერი თავის მუზობელს ნებას აძლევს დაუსჯელათ წაართვას მას ერთი მილი მიწა, მას მალე დანარჩენი მიწაც წაერთმევა; სანამ სულ არ მოისპობა მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოური არსებობა და ასეთი ერი ღირსიც არის ამგვარი ხვედრისა.

მაგრამ, თუ კი მთელს ერს შეჰფერის ერთი მილი მიწისათვის ბრძოლა მიუხედავად საბრძოლი საგნის ღირებულებისა, რატომ მიწის მუშამ არ დაიცვას თავისი ერთი ნაკვეთი მიწა? იქნება ამის პასუხად ცნობილ ანდაზაზე მიგვითითონ და გვითხრან – QUOD LICET JOVI, NON LICET BOVI? რა თქმა უნდა, ერი ერთი მილი მიწისთვის კი არ იბრძვის, არამედ თავისი თავისათვის, თავისი სახელისათვის, პატიოსნებისათვის, დამოუკიდებლობისათვის; ამგვარსავე მოვლენას ვხედავთ პროცესშიაც: როცა მომჩივანი იბრძვის მისი უფლების მოურიდებლათ დარღვევის გამო, მაშინ საქმე იმაში კი არ არის, რომ დაცულ იქნეს მცირე სადავო საგანი, არამედ აქ ბრძოლას სულ სხვა იდეალური მიზანი აქვს: განმტკიცება თვით პიროვნებისა და მისი უფლებრივი გრძნობა-რწმენისა. რა-კი მომჩივანს ამგვარი მიზანი აქვს, მას ვერ აჩერებს ვერავითარი სხვერპლი და უსიამოვნება, რომელიც პროცესს თან სდევს: მას მიზანი უმსუბუქებს საშუალებას. არა ფულის სიყვარული და ანგარება აწყებიანებს საჩივარს უფლება-შელახულ ადამიანს, არამედ მორალური ტკივილი, რომელიც მას მიაყენეს მისი უფლების შელახვით. მომჩივანი იბრძვის არა წართმეული ნივთის უკანვე დასაბრუნებლად, რომელიც მან, იქნება, წინდაწინავე შესწირა კიდეც რომელიმე საქველმოქმედო დაწესებულებას, რაც ასეთ შემთხვევებში ხშირათ ხდება ხოლმე საჩივრის ჭეშმარიტი ხასიათის აღსანიშნავად! არა! იგი იბრძვის თავისი სიმართლის, თავისი უფლების დასამტკიცებლად. შინაგანი ხმა ეუბნება მას, რომ მან უკან არ უნდა დაიწიოს, რომ საქმე უმნიშვნელო საგნის დაბრუნებაში კი არ მდგომარეობს, არამედ მისი პიროვნების, მისი პიროვნული ღირსების, მისი უფლებრივი გრძნობის და თავმოყვარეობის დაცვაში; ერთი სიტყვით პროცესი მისთვის ქონებრივი საკითხისაგან ზნეობრივ საკითხათ იქცევა: განმტკიცება ან მოსპობა პიროვნებისა.

მიუხედავად ამისა გამოცდილება გვამცნევს, რომ ბევრი ამგვარ შემთხვევებში სულ სხვანაირათ იქცევა: მათ მშვიდობა ურჩევნიათ

ტანჯვა-წვალებით შეძენილ უფლებას. როგორი უნდა იქნეს ამ შემთხვევაში ჩვენი დასკვნა? ვთქვათ ასე გადაჭრით: ეს დამოკიდებულია ინდივიდურ გემოზე და გუნებაზე; ერთს უფრო დავა უყვარს, მეორე მშვიდობას არჩევს; უფლების თვალთ თუ შევხედეთ მათ საქციელს, ორივე უნდა გავამართლოთ, რადგან უფლებას არჩევაში შეჰყავს უფლება-მოსილი: უნდა იბრძოლებს და დაიცავს თავის უფლებას, უნდა ხელს აიღებს მაზე! ასეთი უნდა იყოს ჩვენი მსჯავრი? არა, მე ამ შეხედულებას, რომელსაც ცხოვრებაში ხშირათ შეხვდება კაცი, უკიდურეს ზომამდე დასაგმობათ და უფლების შემლახველად ვთვლი; ამგვარი დასაგმობი შეხედულების ყველგან გაბატონება რომ შესაძლებელი იყოს, მის გაბატონებასთან ერთათ ბოლო მოეღებოდა თვით უფლებასაც, რადგან უფლების არსებობა უსამართლობასთან მამაცურ ბრძოლას თხოულობს, ხსენებული შეხედულება კი ქადაგობს უსამართლობის წინაშე მხთალ მორჩილებას. ამ შეხედულებას მე ვუპირდაპირებ ჩემს შემდეგ მცნებას: ჩვენი მოვალეობა არის პიროვნების შემზღუდავ უსამართლობასთან ბრძოლა, ე.ი. ბრძოლა უფლების იმგვარი შელახვის წინააღმდეგ, რომელსაც პიროვნების შეურაცხყოფის ხასიათი აქვს. ბრძოლა არის მოვალეობა უფლებამოსილისა თავისი თავისავე წინაშე, რადგან იგია მცნება მორალური თვითარსებობისა; ბრძოლა არის მოვალეობა საზოგადოების წინაშეც, რადგან იგი საჭიროა უფლების განსახორციელებლად.



→ უფლებისათვის ბრძოლა არის მოვალეობა უფლებამოსილი ადამიანისა თავისავე თავის წინაშე.

თავისი საკუთარი არსებობის დაცვა არის უმაღლესი კანონი ყოველი ცოცხალი ქმნილებისა და ამ კანონს ვხედავთ ყოველი არსების მისწრაფებაში თვითარსებობისადმი.

ადამიანი კი იცავს არა მარტო თავის ფიზიკურ არსებობას, არამედ მორალურსაც და მორალური არსებობის დაცვის ერთი პირობათაგანი კი არის დაცვა და განმტკიცება უფლებისა. უფლების დაცვით ადამიანი იცავს თავის ზნეობრივ ანუ სულიერ არსებობის პირობას, რადგან იგი უფუფლებოთ პირუტყვეს ემსგავსება,¹ და რომაელნიც მართალნი იყვნენ, თუ ისინი მონებს განყენებული უფლების მიხედვით პირუტყვების თანასწორათ ითვლიდნენ. ამგვარათ, უფლების განმტკიცება არის მოვალეობა ზნეობრივი თვითარსებობისა; უფლებებზე სრული ხელის აღება კი, რაც დღეს შეუძლებელია, ხოლო რაც წინეთ შესაძლო იყო, ნიშნავს ზნეობრივათ თავის მოკვლას. უფლება არის ჯამი მისი ინსტიტუტებისა, და ყოველი ცალკე ინსტიტუტი შეიცავს არსებობის თავისებურ ფიზიკურ ანუ ზნეობრივ პირობებს.² ამ ინსტიტუტებს ეკუთვნიან მაგ. ქორწინება, საკუთრება, ხელშეკრულება, ღირსება და სხვა. ყოველ ამ ინსტიტუტთაგანზე სრული ხელის აღება ისე შეუძლებელია, როგორც მთელს უფლებებზე ხელის აღება. ხოლო ერთი კი არის შესაძლებელი: ერთ-ერთ ხსენებულ პირობათაგანის შებღალვა სხვა პირის მიერ, და ამ შებღალვის აცილება და შემბღალველის მოგე-

¹ ჰენრიხ ფონ კლეისტი თავის მოთხრობაში “მიხილ კოლჰაას”, რომელზედაც უფრო დაწვრილებით საუბარი ქვეით გვექნება, უმთავრეს გმირს ათქმევინებს: “თუ კი ფეხით უნდა გამთელონ, სჯობს ძალდი ვიყო, ვიდრე ადამიანი!”

² ამისი საბუთები მომყავს ჩემს თხზულებაში: DER ZWECK IM RECHT (ტომი I. გვ. 434. გამოც. 2. გვ. 343) მე უფლება ასე განვსაზღვრე: “უფლება არის სახელმწიფოს მიერ ძალდატანებითი უზრუნველყოფა საზოგადოების არსებობის პირობებისა”.

რება შეადგენს უფლებამოსილი ადამიანის მოვალეობას. მარტო განყენებული უფლების მხრით მფარველობა არ კმარა. საჭიროა ამას გარდა, რომ ამ სიცოცხლის პირობებს თვით სუბიექტი იცავდეს საქმით; ამისათვის საკმაო საბაბს იძლევა სხვა პირის თვითნებითი განზრახვა ამ პირობების შელახვისა.

მაგრამ ყოველი უსამართლობა კი არ არის თვითნებობა ანუ აღჭურვა უფლების იდეის წინააღმდეგ. ჩემი ნივთის მფლობელი, რომელიც თავის თავს იმის მესაკუთრედ თვლის, ჩემში საკუთრების იდეას როდი უარჰყოფს; პირიქით, თვითონ მიმართავს ამ იდეას და მოუწოდებს მას თავისი უფლების მოწმედ; ჩვენ შორის დავა მხოლოდ იმის შესახებაა, თუ ჩვენ ორში რომელია სადავო ნივთის ნამდვილი მესაკუთრე. ხოლო ქურდი და ავაზაკი კი საკუთრების გარეშე ღებებიან; ისინი ჩემი მესაკუთრეობის უარყოფით უარჰყოფენ თვით საკუთრების იდეას, აზრს და ამითი უარჰყოფენ აგრეთვე ჩემი პიროვნების არსებობის ერთ-ერთ თვალსაჩინო პირობას. მათი საქციელი რომ ყველას შეეთვისოს და საყოველთაო გახდეს, ეს იქნება სრული უარყოფა საკუთრებისა როგორც პრინციპიალურათ, ისე პრაკტიკულათაც. საკუთრება არის ჩემი პიროვნების არსებობის ერთი პირობათაგანი. თუ ჩემს მოვალეობას შეადგენს ჩემი პიროვნების დაცვა, ჩემსავე მოვალეობას შეადგენს დავიცვა იგი პირობებიც, ურომლებოთაც პიროვნების არსებობა შეუძლებელია. საკუთრების დაცვით უფლებამწიფე იცავს თავის თავს, თავის პიროვნებას. მხოლოდ ერთ შემთხვევაშია საკუთრებაზე ძალდატანებით ხელის აღება გასამართლებელი: ეს მაშინ, როცა საკუთრების დათმობით დაცულ იქნება უმაღლესი საუნჯე ადამიანისა – სიცოცხლე, მაგ. როცა ავაზაკს არჩევანში შეჰყავს ვინმე და აიძულებს დაუთმოს მას ან ფული ან სიცოცხლე. აქ ვხედავთ ორ მოვალეობის შეტაკებას და რასაკვირველია უპირატესობა უმაღლეს მოვალეობას ე.ი. სიცოცხლის დაცვას უნდა მიეცეს. ამ შემთხვევის გარდა, ყოველი ადამიანი ვალდებულია თავისავე თავის წინაშე

ყოველი მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებით ებრძოლოს მას, ვინც მისი უფლების შეზღუდვით ცდილობს უფლების შებღალავას საზოგადოთ. ხოლო თუ იგი ასე არ იქცევა და ასეთს ურიგო საქციელს ითმენს, მაშინ იგი თავის ცხოვრებაში ადგილს აძლევს უსამართლობის ერთ-ერთ მომენტს და ამისი უფლება კი არავის არ უნდა ქონდეს. სულ სხვა საქმეა, როცა მესაკუთრეს საქმე აქვს მისი ნივთის კეთილსინდისიერ მფლობელთან. ამ შემთხვევაში ის კითხვა, თუ როგორ უნდა მოიქცეს, და ამ კითხვის ასეთი თუ ისეთი გარდაწყვეტაც სრულიათაც არ არის აღმნიშვნელი და დამახასიათებელი მისი რწმენისა, მისი პიროვნებისა, მისი ხასიათისა, არამედ იგი არის უბრალო ანგარიში; აქ დასაცავი თუ რამეა, ეს მხოლოდ მისი ნივთის ღირებულებაა და სხვა არაფერი. ამ შემთხვევაში ნივთის მესაკუთრის საქმე მხოლოდ ის არის, გამოიანგარიშოს კარგათ და მოსალოდნელი სარგებლობა მოსალოდნელ ზარალს და შესაძლებელ ორკეც ხარჯს შეუწონოს და იმის მიხედვით, თუ ამ ორში რომელი გადასძლევს – სარგებლობა თუ ზარალი, – დაიწყოს ან არ დაიწყოს საჩივარი ან სულ გაურიგდეს თავის მოპირდაპირეს¹. ასეთი ორმხრივი ანგარიშის გათვალისწინების შედეგი არის ხოლმე მორიგება, რაც ჩემ მიერ მოყვანილ პირობებში ერთათ ერთი საშუალებაა დავის გადასაწყვეტად. მართალია, ხშირათ გარიგება არ ხერხდება, მოპირდაპირენი წინდა-

¹ ამ ადგილმა უნდა ამაშოროს ის საყვედური, ვითომ მე ვქადაგობდე უფლებისათვის ბრძოლას მიუხედავთ იმ მიზეზებისა, რომელნიც ამ ბრძოლას იწვევენ. მე აღვიარე საგნად პატიოსნებისა და მოვალეობად უფლებისათვის ის ბრძოლა, რომელსაც მაშინ აქვს ადგილი, როცა უფლებასთან ერთათ ითელება თვით პიროვნებაც. თუ კი ჩემ მიერ ასე ზავგასმით გამოთქმულ განსხვავებას ყურადღებას არ მიაქცევენ და მომახვევენ თავზე მას, რაც არ მითქვამს და დაჟინებით იმეორებენ, ვითომ მე შუღლსა და დავას სიკეთედ ვთვლიდე და სათნოებად საჩივრის წყურვილს, მაშინ მე ის-და დამშთენია, ასეთი საქციელი ორნაირათ ავხსნა: ან ეს არის უპატიოსნობა, რომელიც სხვის აზრს განზრახ ამახინჯებს, რათა მერე უფრო ადვილათ დაამტკიცოს მისი უსაფუძლობა, ან და ეს ნიშნავს ზერეულეთ კითხვას, როცა კაცს ავიწყდება ის, რაც წინა გვერდზე წაიკითხა.

წინვე გაურბიან გარიგებაზე ლაპარაკს სასამართლოში; მაგრამ ამის მიზეზია არა მართო მათი დარწმუნება, საჩივარს მოვიგებო, არამედ ისიც, რომ ორივეს გონია, ჩემმა მოპირდაპირემ იცის, რომ მტყუანია და ბოროტი განზრახვით მედავებაო. თუმცა აქ ჩვენ ობიექტიურ უსამართლობას ვხედავთ (REIVINDICATIO), მოპირდაპირეთათვის კი, თუ საქმეს პსიხოლოგიურათ განვსჯით, დავა აქაც ისეთ სახეს ღებულობს, როგორსაც ზემო მოყვანილ შემთხვევებში; ერთი მხარე ხედავს მეორე მხარის მოქმედებაში მისი უფლების ბოროტგანზრახვით შელახვას. ამიტომ თვითეული მოდავის თვალთ რომ შევხედოთ საქმეს, ამ შემთხვევაშიაც მათ მიერ გაჯიუტებული დაცვა უფლებისა იმნაირათვე აიხსნება და ისე ზნეობრივათ უნდა ჩაითვალოს, როგორც ბრძოლა ქურდის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევებში პსიხოლოგიურ შეცდომად მიმაჩნია რომელსამე მოდავე მხარეს მივუთითოთ ხარჯზე და პროცესის სხვა საზარალო შედეგებზე ან და საჩივრის მოგების სათუობაზე და ამნაირათ ვსცადოთ ხელი ავაღებინოთ საჩივარზე; შეცდომად მიმაჩნია, რადგან აქ მოდავეთათვის საქმე ანგარიშში და გამორჩენაში კი აღარ მდგომარეობს, არამედ მაში, რომ იბღალღება მათი უფლებრივი გრძნობა და რწმენა. აქ კაცი მხოლოდ იმას უნდა ეცადოს, დაარწმუნოს მოდავე, რომ მის მოპირდაპირეს არა აქვს ბოროტი განზრახვა; თუ ეს მოხერხდა, მაშინ ჯიუტობის უმთავრესი ძარღვი გადაჭრილათ უნდა ჩაითვალოს და წინააღმდეგობის ნამდვილი საფუძველი დარღვეულათ; მაშინ მოდავენიც თავიანთ დავას ანგარიშისა და სარგებლობის თვალთ შეხედავენ და ამგვარათ გარიგებაც შესაძლოთ გახდება. ყოველმა გამოცდილმა იურისტმა იცის, თუ რა წინააღმდეგობა ხედავს ხოლმე ასეთ მეცადინეობას იმის გამო, რომ მოდავე მხარე წინასწარ დარწმუნებულია მოპირდაპირის ბოროტ განზრახვაში. მგონია ამის წინააღმდეგი არავინ იქნება: ეს პსიხოლოგიური მიუკარებლობა, ეს ჯიუტი ურწმუნოება არ არის ცალკე პირის შემთხვევით ხასიათზე დამოკიდებული, არ არის ინდივიდური

მცხოვრები, რომელიც შურისძიებისგან ხელს აიღებს, თავისიანები-საგან უარყოფილი იქნება; ხოლო ვინც ემორჩილება ხალხის შეხედულებას უფლებებზე, ის მართლმსაჯულების შურისმგებელ ხელში ვარდება. იგივე ითქმის ჩვენს დუელზედაც. ვინც ისეთ გარემოებებში, რომელნიც დუელს მისი თავმოყვარეობის მოვალეობად ხდის, დუელზე უარს ამბობს, ის ამით თავის თავმოყვარეობას და ღირსებას ამცირებს; ვინც დუელზე თანხმდება, ის კი ისჯება; ასეთი მდგომარეობა, როგორც მონაწილეთათვის, ისე თვით მსაჯულისათვისაც მეტათ უხერხულია. ძველ რომში ამათ ვეძებთ ამგვარ მოვლენებს; სახელმწიფოს დაწესებულებანი და ეროვნული უფლებრივი გრძნობა აქ სრულ თანხმობაში იყვნენ.

ამით ვათავებ ჩემს მსჯელობას კერძო პირთა თავიანთ უფლებებისათვის ბრძოლის შესახებ. ჩვენ თან და თან მაღლა ავდიოდით ამ ბრძოლის მიზეზების კიბეზე; დავიწყეთ წმინდა სარგებლობის ანგარიშიდან, ავედით უფრო იდეალურ მიზეზებამდის – პიროვნებისა და მისი არსებობის ზნეობრივი პირობების განმტკიცებამდის, – და ბოლოს ავადწიეთ მართლმსაჯულების იდეის განხორციელებამდისაც; ეს არის უმაღლესი მწვერვალი, საიდანაც უფლებრივი გრძნობის შელახვის გამო დანაშაულის ჩამდენი, თუ ერთი ფეხი დაუცდა, უკანონობის უფსკრულში ვარდება.

ხოლო ამ ბრძოლის ინტერესი სრულიათ არ განისაზღვრება კერძო უფლებებით და კერძო ცხოვრებით; პირიქით, იგი შორს სცილდება ამ ვიწრო ფარგალს. ერი ბოლოს და ბოლოს ცალკე ინდივიდთა კრებული არის და როგორც ცალკე ინდივიდები გრძნობენ, ფიქრობენ და მოქმედებენ, ისე გრძნობს, ფიქრობს და მოქმედებს თვით ერიც. თუ ცალკე ინდივიდთა უფლებრივი გრძნობა კერძო უფლების სფერაში მოდუნებული, მხთალი და აპატიურია, თუ იგი

ამ დაბრკოლებათა გამო, რომელთაც მას წინ უყენებენ უსამართლო კანონები და ცუდი დაწესებულებანი, ვერ პოულობს სარბიელს, რათა თავისუფლათ და ძლიერათ გავითარდეს, თუ იგი იდეენება იქ, სადაც ის დახმარებას და ხელის შეწყობას მოელოდა, თუ იგი ეჩვევა უსამართლობის ატანას და იმ ფიქრს, რომ ამ უსამართლობის შეცვლა შეუძლებელია, — ვინდა დაიჯერებს, რომ ამგვარათ დამონებული, დაგლახავებული და აპატიური უფლებრივი გრძნობა უეცრათ აღფრთოვანდება და გადაიქცევა ცხოველ გრძნობად და ენერგიულ მოქმედებად მაშინ, როცა იბღალეება არა კერძო პირთა უფლება, არამედ უფლება მთელი ერისა: მაგალითათ, როცა ვინმე მის პოლიტიკურ თავისუფლებას შეეხება, ან როცა ვინმე მისი სახელმწიფოური წესწყობილების დარღვევას სინჯავს, ან მაშინ, როცა მამულს გარეშე მტერი თავს ესხმის? ვინც არ არის მიჩვეული მხნეთ და გაბედულათ დაიცვას თავისი საკუთარი უფლება, ის როგორ იგრძნობს მოთხოვნილებას, თავი თვისი და ქონება თვისი შესწიროს საზოგადო საქმეს? ვისაც არ ესმის ის იდეალური დასაკლისი, რომელიც მას მიადგა, როცა მან სიმხთალისა თუ ნებივრობის გამო თავის უფლებაზე ხელი აიღო, ვინც მიჩვეულია უფლების საკითხში მატერიალური ანუ ნივთიერი საზომის ხმარებას, ამისთანა ადამიანისაგან განა მოსალოდნელია, რომ მან სხვანაირი საზომი იხმაროს და სხვანაირათ იგრძნოს, როცა საქმე მთელი ერის უფლებას და ღირსებას შეეხება? საიდან უნდა გაჩნდეს იდეალიზმი იქ, სადაც ახლამდის იგი სულ მუდამ უარყოფილი იყო? არა! სახელმწიფოსა და ხალხთა უფლებისათვის მებრძოლი იგივეა, ვინც კერძო უფლებისათვის იბრძვის. რა თვისებანიც ადამიანს კერძო უფლებისათვის აბრძოლებს, ის თვისებანი რჩებიან მას მაშინაც, როცა იგი იბრძვის მოქალაქობრივი თავისუფლებისათვის, ან როცა გარეშე მტერს ებრძვის. რაც კერძო უფლებაშია დათესილი, მას ნაყოფი გამოაქვს სახელმწიფოსა და ხალხთა უფლებაში. კერძო უფლების სიღრმეში, ცხოვრების მცირე და უმცირეს ურთი-

ერთობაში წვეთ-წვეთა იკრიბება და ვითარდება იგი ძალა, გროვდება იგი ზნეობრივი კაპიტალი, რომელიც სახელმწიფოს სჭირდება, რათა უფრო ვრცელ ფარგალში აამუშავოს ისინი და თავისი მიზნების მისაღწევად გამოიყენოს. კერძო უფლება არის და არა სახელმწიფოური უფლება ხალხთა პოლიტიკურათ აღმზრდელი სკოლა. ვისაც სურს იცოდეს, როგორ დაიცავს რომელიმე ერი საჭიროების დროს თავის პოლიტიკურ უფლებას და თავის საერთაშორისო მდგომარეობას, მან უნდა განსაჯოს ის, თუ ამ ერის ცალკე წევრები როგორ იცავენ კერძო ცხოვრებაში თავის საკუთარ უფლებას. ზევით მაგალითისათვის მოვიყვანე ჭირვეული ინგლისელი, და აქაც მხოლოდ იმას გავიმეორებ, რაც მაშინ ვთქვი: იმ ერთ მანეთში, რომლისთვისაც ის ინგლისელი ისე თავგამოდებით იბრძვის, მთელი ინგლისი იფარება. იმ ერს, რომლის წევრნიც მამაცურათ იცავენ თავის კერძო უფლებას სულ უბრალო წვრილმან შემთხვევებშიაც კი, იმ ერს, ვამბობ მე, ვერავენ გაუბედავს წაართვას უმაღლესი საუნჯე, რომელიც კი მას აბადია. ამიტომ სრულიათაც შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ იმ ძველ ერს, რომელმაც მიაღწია უმაღლეს პოლიტიკურ განვითარებამდის შინ, და შეიმკო საოცარი ძლევამოსილებით გარეთ, კერძო უფლებაც ძალზე განვითარებული ჰქონდა. უფლება არის იდეალიზმი, რაც უნდა პარადოქსა ჰგავდეს ეს აზრი. იგი ფანტაზიის იდეალიზმი კი არ არის, ხასიათის იდეალიზმია, ე.ი. იდეალიზმი იმ ვაუკაცისა, რომელიც თავის თავს მიზნად გრძნობს და სხვას ყველაფერს უკუაგდებს, როცა ილაზება ეს ღრმა დედა-გული მისი არსებისა. ვინ არღვევს მის უფლებას, — კერძო პირი, საკუთარი მართებლობა თუ უცხო ერი, ეს სულ ერთია მისთვის. იმ წინააღმდეგობის სიმტკიცე, რომელსაც იგი ძალადობას უწევს, დამოკიდებულია არა მოძალე ადამიანის პიროვნებაზედ, არამედ იმ უფლებრივი გრძნობის ენერჯიაზე, რომლითაც უფლებამოსილი ჩვეულებრივათ თავის პიროვნებას იცავს. ამიტომ მარადის ჭეშმარიტებად რჩება

შემდეგი აზრი: შინაური თუ გარეშე პოლიტიკური მდგომარეობა რომელიმე ერისა შეესაბამება იმის ზნეობრივ ძალას. შუაგული სამეფო ანუ ჩინეთი თავისი ბამბუკით, ამ წკეპლათი დიდ ბავშებისთვის, მიუხედავთ რავდენიმე ას მილიონ მცხოვრებლებისა, უცხო ერთა თვალში თავის დღეში ვერ დაიჭერს ისეთ საერთაშორისო მდგომარეობას, როგორც უჭირავს პატარა შვეიცარიას. შვეიცარიელის ბუნება ხელოვნებაში და პოეზიაში, როგორც ძველ რომაელთა ბუნებაც, უფრო ფხიზელი და პრაქტიკულია, ვიდრე იდეალური. ხოლო იდეალურათ წოდება იმ აზრით, რა აზრითაც მე ამ სიტყვას ვხმარობ უფლების შესახებ, შვეიცარიელსაც ასე შეეფერება, როგორც ინგლისელს.

ეს იდეალიზმი საღი უფლებრივი გრძობისა თავის თავს რომოს გაუთხრიდა, რომ მარტო თავისი საკუთარი უფლების დაცვით დაკმაყოფილებულიყო და არ მიეღო უფრო ვრცელი მონაწილეობა უფლებისა და წესიერების განმტკიცებაში. მას ესმის არა მარტო ის, რომ თავის უფლების დაცვით იცავს უფლებას საზოგადოთ, არამედ ისიც, რომ საზოგადოთ უფლების დაცვით თავის საკუთარ უფლებასაც იცავს. იმ საზოგადოებაში, რომელშიაც მეფობს ასეთი შეხედულება და მიდრეკილება მტკიცე კანონიერებისადმი, კაცი ვერ შეხვდება იმ სამწუხარო მოვლენას, რომელსაც ახლანდელ სახელმწიფოებში ვხედავთ ხოლმე: როცა სასამართლო ბოროტმომქმედს ან კანონის დამრღვეველს სდევნის ან ცდილობს მის დაჭერას, ხალხი ამ უკანასკნელის მხარეს იჭერს, ე.ი. სახელმწიფოურ მართებლობაში იგი ხედავს თავის ბუნებრივ მტერს. იქ კი, სადაც კანონიერებისადმი მოდრეკილება ძლიერია, ყოველ კაცს ესმის, რომ უფლების საქმე მისი საქმეა, უფლების ინტერესი მისი ინტერესია... ბოროტმომქმედს თანაუგრძობს მხოლოდ ბოროტმომქმედი და არა პატიოსანი ადამიანი; უკანასკნელი, პირიქით, ნებაყოფლობით გაუწევს მთავრობას ყოველგვარ დახმარებას მანუ კაცების ასალაგმავად.